27
1958

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

3

მ ა რ ტ ი

სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ცოდნა"
თბილისი—1958

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 4—გორისა და ხაშურის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ 3
2. ბრძანება № 59—ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონების განათლების განყოფილებათა და სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 7
3. ბრძანება № 60—ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საშუალო სკოლაში საყოველთაო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ . . 18
4. ბრძანება № 84—ზუგდიდის, ჩოხატაურის, წყალტუბოს, წალენჯიხის, საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 21
5. ბრძანება № 85—ქ. თბილისის ვაკის, საჩხერის, ჩოხატაურის, მახარაძის, ვაშლოვანის, კარდანახის საბავშვო სახლებისა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 24
6. ბრძანება № 94—სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 28
7 ბრძანება № 116—ექსტერნების სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე დაშვების წესში ზოგიერთი ცვლილების შესახებ 34

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
კორექტორი ე. აგლაძე

გადაეცა წარმოებას 24/II-58 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IV-58 წ.,
ანაწყობის ზომა 6×9½, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა
რაოდენობა 2,25,

შეკვ. № 429. ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 4

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
1958 წლის 14 იანვარი

გორისა და ხაშურის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის ,სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ გორისა და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებანი (ავ. ჩხეიძე და კ. მესხი) დროულად შეუდგნენ ახალი სასწავლო წლისათვის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მომზადებას, მაგრამ ხსენებული რაიონების ამ ტიპის სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს მეტად სერიოზულ ნაკლოვანებებს.

გორის რაიონში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული სამი სკოლისა გაიხსნა ორი სკოლა. საჭირო ღონისძიებანი არ ტარდება სწავლებაში ჩაბმული კონტინგენტის შესანარჩუნებლად. ასე, მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს გორის რაიონის მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. გვერდწითელი) 81 მოსწავლიდან სწავლას ჩამოშორდა 20 მოსწავლე.

საჭირო აღმზრდელობითი მუშაობა არ ტარდება მოსწავლე ახალგაზრდობას შორის, რის გამოც ხშირია მათ მიერ მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები. 19 დეკემბერს ხაშურის რაიონის სურამის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის VII კლასის 19 მოსწავლიდან გაკვეთილებზე გამოცხადდა მხოლოდ 5.

ზემოხსენებული სკოლების ხელმძღვანელები შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ სასკოლო მუშაობის დაგეგმვისადმი. ხაშურის რაიონის ოსიაურის (დირექტორი დ. კორკოტაძე), გორის რაიონის კარალეთის (დირექტორი ბ. გოგიაშვილი) და მეჯვრისხევის

(დირექტორი გ. გვერდწითელი) სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში დაბალხარისხოვნადაა შედგენილი წლიური, კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური და მასწავლებელთა გაკვეთილების გეგმები. სურამის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლას სრულიად არ აღმოაჩნდა სამუშაო გეგმა.

სკოლებში საჭირო ყურადღება არ ექცევა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებას, არ ტარდება ღია გაკვეთილები, მივიწყებულია მეთოდური მუშაობა.

გორისა და ხაშურის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლები უზრუნველყოფილნი არ არიან კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. სურამის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში ა/წ 1-ლი ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე არ ისწავლებოდა ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ფიზიკა და სხვა, ოსიაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში ბიოლოგიას და გეოგრაფიას ასწავლის ფიზკულტურის მასწავლებელი ი. ბუხრიკიძე.

სკოლების დირექტორები არ ახორციელებენ საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს მასწავლებელთა მუშაობაზე.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ცალკეული საგნების სწავლება.

დაბალ დონეზეა დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის VII—IX კლასებში (მასწავლებელი ს. აწკარუნაშვილი). მოსწავლეებს არა აქვთ გამომუშავებული მასალის დამოუკიდებელი თხრობის ჩვევები, სუსტად იციან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხები, არა აქვთ ლიტერატურული თემის სწორი ლიტერატურული ენით თანმიმდევრული გადმოცემის უნარი.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა სურამის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში (მასწ. კ. ფანქველაშვილი). თვით მასწავლებელი, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია, ცუდად ფლობს რუსულ ენას, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს.

დაბალ დონეზეა დაყენებული მათემატიკის სწავლება მეჯვრისხევის საშუალო სკოლაში. საგნის მასწავლებელი თ. იჩქითი არ მუშაობს თავის თავზე, სუსტად ემზადება გაკვეთილისათვის, რის გამოც არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა მომზადებაც. თვით მასწავლებელი ახალი მასალის ახსნისას უშვებს მეცნიერულად არაზუსტ გამოთქმებს.

ყოველგვარი ცდებისა და თვალსაჩინოების გარეშე ისწავლება ქიმია იმავე სკოლაში (მასწავლებელი თ. ბუჯიაშვილი). ამის გამო მოსწავლეებს არა აქვთ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევები.

მეჯვრისხევისა და ოსიაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების გეოგრაფიის მასწავლებლები მ. მერაბიშვილი და ი. ბუხრიკიძე არადამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს და სერიოზულად არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის. მოსწავლეებმა რუკის კითხვაც კი არ იციან.

გორისა და ხაშურის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმითაც, რომ განათლების განყოფილებანი (ამხ. ამხ. ავ. ჩხეიძე და კ. მესხი) საკმაო ოპერატიულ ხელმძღვანელობას არ ახორციელებენ მათ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გორისა და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ავ. ჩხეიძემ და კ. მესხმა):

ა) გადაჭრით გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისადმი, გულდასმით შეისწავლონ მათი მუშაობა და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) იზრუნონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზით უზრუნველსაყოფად, სათანადო დახმარება გაუწიონ მათ მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებით სარგებლობის საქმეში;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ პედაგოგიური კაბინეტების მეთოდური დახმარება სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისადმი;

დ) დაუყოვნებლივ გადასინჯონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების პედაგოგიური კადრების შემადგენლობა და გაატარონ ღონისძიებანი მის გასაუმჯობესებლად. აღკვეთონ მასწავლებლებზე არასპეციალობის მიხედვით საათების განაწილების დღემდე არსებული მავნე პრაქტიკა.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) მკვეთრად გააუმჯობესონ შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე; აამაღლონ კლასის

ხელმძღვანელთა როლი და მიაღწიონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას;

ბ) ბოლო მოუღონ სასკოლო გეგმიანობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას; დაუყოვნებლივ გადახედონ სკოლის წლიურ, პედაგოგიური საბჭოს, კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიურ გეგმებს და სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიტანონ მათში საჭირო ცვლილებანი;

გ) სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიზნით საქმიანი კავშირი დაამყარონ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან და წარმოება-დაწესებულებებთან;

დ) დაუყოვნებლივ შექმნან საგნობრივი და ციკლობრივი მეთოდ-კომისიები და უზრუნველყონ მათი წარმატებით მუშაობა.

3. მასწავლებლებმა გულდასმით მოამზადონ ყოველი გაკვეთილი, მტკიცედ დანერგონ სწავლებაში თვალსაჩინოება, ყურადღებით გასწორონ წერითი ნამუშევრები და უზრუნველყონ მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნა-ჩვევათა შეთვისება.

4. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის მკაცრად იქნან გაფრთხილებული ხაშურის რაიონის სურამის, ოსიაურისა და გორის რაიონის მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების დირექტორები ამხ. ამხ. კ. ფანქველაშვილი, დ. კორკოტაძე და გ. გვერდწითელი.

5. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ს. აწკარუნაშვილს, მათემატიკის მასწავლებელს თ. იჩქითს, ქიმიის მასწავლებელს თ. ბუჯიაშვილს (მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლა), გეოგრაფიის მასწავლებლებს — მ. მერაბიშვილს (მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) და ი. ბუხრიკიძეს (ოსიაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) მიეთითოთ.

6. ეს ბრძანება განხილულ იქნეს გორისა და ხაშურის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ბურჭულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 59

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 22 იანვარი

ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონების განათლების განყოფილებათა და სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონების განათლების განყოფილებათა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ მათ რამდენადმე გააუმჯობესეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული პოლიტექნიკური სწავლების დანერგვის საქმეში. მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშუალო სკოლას (დირექტორი კ. კვირიკაშვილი, მასწავლებელი ა. გრძელიძე) კარგად აქვს მოწყობილი სასწავლო სახელოსნო და კაბინეტი ავტომანქანის შესწავლისათვის. მასწავლებელი ა. გრძელიძე (სპეციალობით ინჟინერი) მომზადებულად ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობას. მოსწავლეებს აქვთ ლითონზე მუშაობისათვის საჭირო ცოდნა-ჩვევები. აგრეთვე კარგად არის მოწყობილი სასწავლო სახელოსნო ქუთაისის რაიონის ქვიტირის საშუალო სკოლაში (დირექტორი—გ. ჯიშკარიანი). კეთილმოწყობილია და კარგად არის გამოყენებული სწავლების პროცესში მაიაკოვსკის რაიონის წითელხევისა და ქუთაისის რაიონის გეგუთის საშუალო სკოლების სასწავლო მიწის ნაკვეთები. კარგად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: პ. ჩიქვინიძე (მაიაკოვსკის ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლა), ე. ნემსაძე (ქუთაისის რაიონის ჭოგნარის შვიდწლიანი სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ლ. ბურჯანაძე (ქუთაისის რაიონის ქვიტირის საშ. სკ.) თ. გრძელიძე (მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშუალო სკოლა),

3. ნინუა (მაიაკოვსკის ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლა) ფიზიკის მასწავლებლები: გ. ძოწენიძე (ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საშუალო სკოლა), თ. ლოლაძე (მაიაკოვსკის ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლა), ბიოლოგიის მასწავლებლები ო. დანელია (მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშ. სკ.), ე. სამხარაძე (მაიაკოვსკის რაიონის ობჩის შვიდწლიანი სკოლა); ქიმიის მასწავლებლები: ვ. ფურცელაძე (მაიაკოვსკის ე. ნინოშვილის სახელობის საშ. სკ.), ე. ლოსაბერიძე (ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საშ. სკ.); გეოგრაფიის მასწავლებლები: მ. ენდელაძე (მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშ. სკ.), ტ. ფურცელაძე (მაიაკოვსკის ე. ნინოშვილის სახელობის საშ. სკ.). მიუხედავად ამისა დასახელებული რაიონების განათლების განყოფილებებისა და სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ზოგიერთი სკოლის დაწყებით კლასებში რუსული ენის სწავლება მინდობილი აქვთ მასწავლებლებს, რომლებიც ვერ ფლობენ ენასა და მისი სწავლების მეთოდებს. სრულიად არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა ქუთაისის რაიონის გეგუთის საშუალო (მასწავლებლები თ. შეყილაძე, ნ. გაბუნია), მაიაკოვსკის რაიონის როხის საშუალო (მასწავლებელი კ. ახობაძე), პირველი ობჩის საშუალო (მასწავლებლები ნ. გუმბერიძე, ნ. ჭრელაშვილი), პირველი ობჩის შვიდწლიანი (მასწავლებელი ნ. ვაჭარაძე) სკოლების დაწყებით კლასებში. მასწავლებლები უშვებენ უხეშ ენობრივ შეცდომებს, თავს არიდებენ რუსულ ენაზე საუბარს, მოსწავლეთა სწორად დაწერილ წინადადებას ზოგჯერ არასწორად ასწორებენ.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება მაიაკოვსკის რაიონის როხისა და პირველი ობჩის საშუალო სკოლებში. მასწავლებლები დ. მაღლაფერიძე და შ. სამხარაძე არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, მოსწავლეებს არ უსწორებენ არასწორად გამოქთმულ სიტყვებსა და წინადადებებს. სუსტია მოსწავლეთა მომზადება რუსულ ენაში, ღარიბია მათი სიტყვათა მარაგი, განუვითარებელია კითხვის ტექნიკა, მათ არ აქვთ რუსული ენის გრამატიკაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევები.

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს მათემატიკაში მაიაკოვსკის რაიონის როხის საშუალო და ქუთაისის რაიონის გოდოლეშის შვიდწლიანი სკოლების VII და V კლასის (მასწავლებლები ჯ. გოგნაძე და ე. ურუშაძე) მოსწავლეებმა. როხის საშუალო სკოლის

VII კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან ერთწევრა და მრავალწევრა მრიცხველიანი და მნიშვნელიანი ალგებრული წილადების შეკრება, გამოკლება, გამრავლებასა და გაყოფაში. გოდოგნის შვიდწლიანი სკოლის V კლასის მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ წილადის ცნებაზე და ვერ ახერხებენ წილადის გაერთმნიშვნელიანებას. შემოწმების დღეს ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად დადებითი შეფასება მიიღო როხის საშ. სკოლის VII კლასში 19 მოსწავლიდან 8, ხოლო გოდოგნის 7-წლიანი სკოლის V კლასის 20 მოსწავლიდან—3 მოსწავლემ.

ფიზიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ ზრუნავს თავისი პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაზე, არ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის, არ კითხულობს დამხმარე ლიტერატურას და დაბალხარისხოვან გაკვეთილებს ატარებს. მაიაკოვსკის რაიონის როხის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ს. გიორგაძემ (დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) VIII კლასში ვერ მოახერხა ნიუტონის მეორე კანონის გადაცემა და არასწორად ჩამოაყალიბა დამოკიდებულება ძალასა და აჩქარებას შორის, მასასა და აჩქარებას შორის, მასწავლებელი სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას. საგნის სუსტი ცოდნა გამოამჟღავნა ქუთაისის რაიონის გეგუთის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ც. სირაძემ. მან VII კლასში სრულიად გაუგებრად მოახდინა „ძაბვის ცნების“ ახსნა, ბუნდოვნად განმარტა რეოსტატის მოწყობილობა და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა მაიაკოვსკის რაიონის ობჩის (მასწავლებელი კ. ფერაძე), წითელხევის (მასწავლებელი თ. მარგველაშვილი) საშუალო და ობჩის 7 წლიან (მასწავლებელი ა. მშვილდაძე) სკოლებში. აღნიშნული მასწავლებლები არ ატარებენ პროგრამით გათვალისწინებულ ცდებს, ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე, მოსწავლეებს არ აცნობენ ტექნიკის ელემენტებს და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას.

ქიმიის სწავლების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ქუთაისის რაიონის ქვიტირის საშ. სკოლაში ქიმიის საათები უხეშად არის დაქუცმაცებული—16 საათი განაწილებული აქვს 3 მასწავლებელს. IX კლასის ქიმიის მასწავლებელი დ. თორთლაძე (სპეციალობით ბიოლოგი) ამჟღავნებს საგნის უცოდინარობას, ვერ ერკვევა მჟავას ფუძიანობაში, ვალენტობაში—ატომის აღნაგობის

საფუძველზე, სტრუქტურულ ფორმულებში, ჟანგვა-აღდგენის საკითხებსა და ემპირიული ფორმებიდან ცალკეული ელემენტების ვალენტობის განსაზღვრაში. ქიმიის კაბინეტი გამოუყენებელია, არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ცდები და პრაქტიკული სამუშაოები.

ამავე რაიონის ჭოგნარის 7-წლიანი სკოლის ქიმიის მასწავლებელი კ. უკლება (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული) სუსტად ფლობს საგანს, არ ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ სადემონსტრაციო ცდებს. სკოლაში რეაქტივები და ჭურჭლები აღრიცხვის გარეშეა და ჩაყრილია უწესრიგოდ კარადაში.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ქიმიის სწავლება მაიაკოვსკის რაიონის ობჩის, წითელხევის და როხის საშუალო სკოლებში (მასწავლებლები შ. ბურჯანაძე, მ. ფაიქიძე, ვ. ბრეგაძე). ამ სკოლებში ყურადღება არ ექცევა ქიმიის კაბინეტების შევსებას საჭირო რეაქტივებით, რის გამო სადემონსტრაციო ცდების დიდი ნაწილი არ ტარდება. აქ არ აწარმოებენ გავლილი მასალის თანმიმდევრულ განმეორებას.

ქუთაისის რაიონის გეგუთის საშუალო სკოლაში ნორჩ ქიმიკოსთა წრე ფორმალურად არის ჩამოყალიბებული. წრეს ხელმძღვანელობს ბუნებისმეტყველების მასწავლებელი (იგი არ ასწავლის ქიმიას).

შესწავლილი სკოლების ერთ ნაწილში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბიოლოგიის სწავლება. ქუთაისის რაიონის გეგუთის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. შალამბერიძე გულდასმით არ ემზადება გაკვეთილებისათვის, სისტემატურად არ ატარებს პრაქტიკულ სამუშაოებსა და დემონსტრაციებს. ზოოლოგიაში VII კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან ამებასა და ფოსტალას საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, ერთუჯრედიანი პარაზიტები, ჰიდრას განვითარების ერთუჯრედიანი სტადია და მისი მნიშვნელობა. ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიაში VIII კლასის მოსწავლეებმა სუსტად იციან სისხლძარღვთა სისტემა, სისხლის მიმოქცევის დიდი და პატარა წრე, ადამიანის ჩონჩხის თავისებურება, ხოლო IX კლასის მოსწავლეებმა დარვინიზმის საფუძვლებში სუსტად იციან ევოლუციის დამამტკიცებელი საბუთები პალეონტოლოგიიდან, ემბრიოლოგიიდან და შედარებითი ანატომიიდან. ანალოგიური მდგომარეობაა მაიაკოვსკის რაიონის როხის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი

გ. გუგუციძე). მაიაკოვსკის რაიონის როხისა და ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საშუალო სკოლებში საჭირო ყურადღება არ ექცევა ბიოლოგიაში კლას-კაბინეტებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობის საქმეს. ნორჩ ნატურალისტთა წრეების უმრავლესობა ფორმალურად არის შექმნილი. ნორჩი ნატურალისტები არ ამზადებენ გაკვეთილზე გამოსაყენებელ მარტივ ხელსაწყო-იარაღებს და სველ პრეპარატებს, არ ღებულობენ მონაწილეობას კაბინეტების შევსებში. შესწავლილი სკოლების ნორჩ ნატურალისტთა არც ერთ წრეს მონაწილეობა არ მიუღია რესპუბლიკურ გამოფენაში „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“.

შესწავლილ სკოლებში მინიმალური პირობებიც კი არ არის შექმნილი ელექტროტექნიკის სწავლებისათვის. მასწავლებლები იძულებული არიან გაკვეთილები ჩაატარონ მხოლოდ სადემონსტრაციო ცდების გამოყენებით, ზოგჯერ კი ყოველგვარი ხელსაწყოსა და ტაბულების გარეშე. გეგუთის საშუალო სკოლას (დირექტორი ქ. სულუხია) დღემდე ვერ მოუხერხებია ფიზიკის კაბინეტში ელექტროდენის გაყვანა. ქვიტირის საშუალო სკოლის მოსწავლეები (მასწავლებელი ს. შავგულიძე) ვერ ერკვევიან საზომ ხელსაწყოთა მოქმედების პრინციპში, ვერ ხაზავენ ელექტროწრედის უმარტივეს სქემას, არ იციან ელექტროტექნიკური სქემისათვის პირობითი გრაფიკული აღნიშვნები.

ქუთაისის რაიონის გეგუთის, ოფურჩხეთის საშუალო, ჭოგნარისა, გოდოგნის 7-წლიან, მაიაკოვსკის რაიონის როხის, პირველი ობჩის საშუალო და პირველი ობჩის შვიდწლიან სკოლებში არაა მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები. ქუთაისის რაიონის ჭოგნარის (დირექტორი ა. ბერეკაშვილი, გოდოგნის (დირექტორი ვ. კანდელაკი), მაიაკოვსკის რაიონის ობჩის 7-წლიან (დირექტორი გ. მშვილდაძე) სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა სასწავლო კაბინეტების ხელსაწყო-იარაღების აღრიცხვის საქმეს, შეუვსებელია საინვენტაროსააღრიცხვო ჟურნალი, ან შევსების დროს ზოგიერთი ხელსაწყო სრულიად არაა შეტანილი, რაც ხელს უწყობს მეტად ძვირფასი ხელსაწყოების განიავებას. ჭოგნარის 7-წლიან სკოლაში ხელსაწყო-იარაღები დამტვერიანებული, დაჟანგული უწესრიგოდაა ჩაყრილი კარადებში. ჩატარებული არ არის აღწერა, გაუპიროვნებულია საგნის მასწავლებლებზე, რის შედეგადაც მარტო ფიზიკაში განადგურებულია 12 დასახელების სხვადასხვა ხელსაწყო (ფილმოსკოპი, მაგნიტო ელექტრული მანქანა, მანომეტრი და სხვ.). შემოწმებული

სკოლების სასწავლო კაბინეტებთან არ არის შექმნილი ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა, არ აქვთ დამხმარე ხელსაწყოები და მასალები, გამოყოფილი არ არის ადგილი საგნობრივი და ტექნიკური წრეების სამუშაოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება ისტორიის სწავლება. მაიაკოვსკის რაიონის როხის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი დ. ბრეგვაძე სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. მასწავლებელი მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებს. მასწავლებელი ისტორიის სწავლებისას, არ იყენებს რუკას. ამიტომ გასაგებია, რომ IX კლასის ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ მოხაზა რუკაზე ბალკანეთის ნახევარკუნძული. მასწვლებელი დ. ბრეგვაძე არ ემზადება გაკვეთილებისათვის. ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ისტორიაში ქუთაისის რაიონის ქვიტირის საშუალო სკოლის XI კლასის (მასწავლებელი ქ. შანიძე) მოსწავლეებმა, მათ ვერ შესძლეს განემარტათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მიზეზები და მისი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, ვერ ასხვავებენ ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციას, ვერ ასახელებენ პირველი მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებს, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების მიზეზებს და სხვ. აგრეთვე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ისტორიაში ქუთაისის რაიონის ჭოგნარის შვიდწლიანი სკოლის VII კლასის (მასწავლებელი ი. სვინტრაძე) მოსწავლეებმა. მაიაკოვსკის რაიონის პირველი ობჩის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი ა. აბულაძე) მოსწავლეებმა ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს საქართველოს ისტორიაში.

სათანადო ყურადღება არ ექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად განხორციელების საქმეს. სწავლებას ჩამოცილდა ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საშუალო სკოლიდან (დირექტორი რ. ტყაბლაძე) 33, ჭოგნარის 7-წლიანი სკოლიდან (დირექტორი ა. ბერეკაშვილი) 12, ქვიტირის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. ჯიშკარიანი) 17, გეგუთის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ქ. სულუხია) 24, გოდოგნის 7-წლიანი სკოლიდან (დირექტორი ჭ. კანდელაკი) 2, მაიაკოვსკის რაიონის როხის საშუალო სკოლიდან (დრექტორი მ. ჯულაყიძე)—14. ობჩის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. გუმბერიძე) —8 მოსწავლე. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშაობა მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან. მეორეწლიანი მოსწავლეებიდან I

მეოთხედის შედეგად ვერ ასწრებენ ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საშუალო სკოლაში — 10, გეგუთის საშუალო სკოლაში — 7, მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშუალო სკოლაში — 16, ობჩის საშუალო სკოლაში — 11, მაიაკოვსკის ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლაში—12 მოსწავლე;

განსაკუთრებით დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება ზოგიერთ კლასებში. 1 მეოთხედის შედეგების მიხედვით ქუთაისის რაიონის გეგუთის საშუალო სკოლის XI კლასებში 47 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 21 მოსწავლე, X კლასებში 47 მოსწავლიდან—10. საგულისხმოა, რომ ამ სკოლის პირველ კლასში პირველი მეოთხედის შედეგად არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვს მიღებული 8 მოსწავლეს, ჭოგნარის 7-წლიან სკოლაში VI კლასში 23 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა—9, პირველ კლასში 34-დან—7, ოფურჩხეთის საშუალო სკოლის VIII კლასში 27-დან 10, პირველ კლასში—23-დან 5, მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშუალო სკოლის VIII კლასებში 45 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 18, მაიაკოვსკის ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის VIII კლასში 24 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 14, ობჩის საშუალო სკოლის IX კლასებში 55 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 21, ხოლო პირველ კლასში — 5 მოსწავლე. სუსტია კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები სისტემატურად არ ესწრებიან გაკვეთილებს, არ სწავლობენ მოსწავლეთა დაბალი წარმატების მიზეზებს და არ სახავენ ღონისძიებებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. გეგუთის საშუალო სკოლის დირექტორ ქ. სულუხიას 18 დეკემბრამდე მოსმენილი აქვს 13 გაკვეთილი. დირექტორის ჩანაწერებში მოცემული არაა მოსმენილი გაკვეთილების საფუძვლიანი ანალიზი. ჭოგნარის 7-წლიანი სკოლის დირექტორს მოსმენილი აქვს 27 გაკვეთილი. დირექტორი თავის მოვალეობას ამ სფეროში იმით ამოწურავს, რომ მოგვცეს მხოლოდ გაკვეთილის მსვლელობის აღწერა. ზოგჯერ გაკვეთილების მოსმენას კამპანიური ხასიათი აქვს. მაიაკოვსკის რაიონის როხის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს კ. მაღლაფერიძეს 17 და 18 დეკემბერს მოსმენილი აქვს 15 გაკვეთილი. შესწავლილი სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები იშვიათად ესწრებიან საკონტროლო წერის გაკვეთილებს.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ზოგიერთი სკოლის წლიური სამუშაო გეგმები. მათში არაა გათვალისწინებული სკოლის

სპეციფიკური პირობებისა და მდგომარეობის შესაბამისი საკითხები. ქუთაისის რაიონის ჭოგნარის 7-წლიანი სკოლის სამუშაო გასული წლის სამუშაო გეგმის ასლს წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებულ სკოლებში არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი.

სუსტადაა დაყენებული სკოლებში მეთოდური მუშაობა. არ ხდება საუკეთესო მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა მუშაობის გამოცდილების შესწავლა, მასწავლებელთათვის ახლადგამოსული პედაგოგიური-მეთოდური, მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის გაცნობა.

ქუთაისის რაიონის ქვიტკირის, გეგუთის საშუალო, ჭოგნარის 7-წლიანი, მაიაკოვსკის რაიონის პირველი ობჩის საშუალო და პირველი ობჩის 7-წლიან სკოლებში მოუწესრიგებელია საკლასო ჟურნალების წარმოების საქმე;

კლასების ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები ზოგადია და ერთფეროვანი.

ქუთაისის რაიონის ქვიტირის, გეგუთის, ოფურჩხეთის საშუალო, ჭოგნარის და გოდოგნის შვიდწლიან სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა შორის ათეისტური აღზრდის საკითხებს.

ქუთაისის რაიონის გეგუთის საშუალო, ჭოგნარის 7-წლიანი, მაიაკოვსკის რაიონის პირველი ობჩის საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე პირველი მეოთხედის ბოლოს არ არის გაკეთებული მეოთხედში ჩატარებული მუშაობის ანალიზი, არაა გამოვლინებული ცალკეული საგნების სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და არაა დასახული კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ზოგიერთ სკოლაში უხეშად ირღვევა დღის რეჟიმი. ქუთაისის რაიონის ჭოგნარის 7-წლიან სკოლაში 40 წუთიან გაკვეთილებს ატარებენ, საოცარია, რომ აქ პირველ წყებაში მუშაობს 3 კლასი, ხოლო მეორე წყებაში 5 კლასი, მაშინ, როდესაც სკოლაში არის 8 საკლასო ოთახი და ყველა კლასის მუშაობა შეიძლება პირველ წყებაში. აქ სასკოლო ბიბლიოთეკა დაკეტილია და ბავშვებს არ აქვთ წიგნებით სარგებლობის საშუალება. სკოლაში გამეფებულია ანტისანიტარია, განსაკუთრებით მოუთმენელ მდგომარეობაშია საპირფარეშოები. არავითარი ყურადღება არ ექცევა სკოლის შენობისა და კარმიდამოს კეთილმოწყობას. ასეთსავე მდგომარეობაში არიან ქუთაისის რაიო-

ნის გეგუთის საშუალო და გოდოგნის 7-წლიანი და მაიაკოვსკის რაიონის ობჩის საშუალო სკოლები (დირექტორები ქ. სულ[illegible] ვ. კანდელაკი და ა. ბუმბერიძე).

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები შედეგია იმისა, რომ ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონების განათლების განყოფილებები სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ ახორციელებენ სკოლების მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფლებათა გამგეებმა (კ. ასათიანი, ს. კოტორეიშვილი):

ა) სისტემატურად და სრულყოფილად შეისწავლონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ. სკოლების გამოკვლევის შედეგები დაიყვანონ ყველა სკოლამდე; პერიოდულად შეამოწმონ სკოლებზე მიცემული მითითებების შესრულების მდგომარეობა;

ბ) ქმედითი დახმარება გაუწიონ სკოლებს სასწავლო სახელოსნოების და კაბინეტების საჭირო მასალით შევსების საქმეში;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლის შენობისა და მისი კარმიდამოს კეთილმოწყობისა და სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისათვის, სასტიკი ზომები მიიღონ სკოლის იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სკოლის შენობისა და მისი კარმიდამოს კეთილმოწყობას და სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის მაქსიმალურად დაცვას;

დ) სისტემატურად შეამოწმონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტი მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების მუშაობა, გაუწიონ მათ სათანადო დახმარება და ნაკლოვანებების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განათლების სამინისტროს წინაშე დააყენონ საკითხი მათი განთავისუფლების შესახებ;

ე) ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონების პედაგოგიურმა კაბინეტებმა უზრუნველყონ მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და ფართოდ დანერგვა რაიონის სკოლებში.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ შინა-სასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები, მოახდინონ მოსმენილი გაკვეთილების ღრმა ანალიზი, გაატარონ საჭირო

ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და სწავლების ხარისხის ამაღლებით უზრუნველყონ მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის ლიკვიდაცია;

ბ) არსებითად გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოს მუშაობა, საკითხების წინასწარ ღრმად შესწავლის საფუძველზე დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სწავლებისა და აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მეოთხედის ბოლოს გააკეთონ მეოთხედში ჩატარებული მუშაობის საფუძვლიანი ანალიზი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად და სასკოლო ასაკის ბავშვთა განთესვის შემთხვევების აღმოსაფხვრელად;

დ) მეთოდური კომისიების სხდომებზე მოახდინონ საუკეთესო მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება;

ე) სასწავლო წლის მეორე ნახევრისათვის შეადგინონ პედაგოგიურად და მეთოდურად გამართული გაკვეთილების ცხრილი; სკოლის წლიურ გეგმაში კი გაითვალისწინონ ყველა საკითხი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალნაყოფიერად წარმართვისათვის;

3) მიაღწიონ კლასის ხელმძღვანელთა გარშემო მოსწავლეთა აქტივის შემოკრებას, ამ აქტივის აგრეთვე კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების დახმარებით კლასის მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებას. კლასის ხელმძღვანელების გეგმებში კონკრეტულად იყოს გათვალისწინებული ის საკითხები, რომლებიც მოცემულია განათლები სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით კლასის ხელმძღვანელების მუშაობის შესახებ;

ზ) ფართოდ გაშალონ ნორჩ ნატურალისტთა, ტექნიკოსთა, ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა წრეების მუშაობა;

თ) ზუსტად აღრიცხონ კაბინეტ-ლაბორატორიებში არსებული ხელსაწყო-იარაღები და უზრუნველყონ მათი დაცვა.

კ) ფართოდ გაშალონ მუშაობა მოსწავლეთა შორის ათეისტური აღზრდის საკითხებზე.

3. რუსული ენის უცოდინარობის გამო ჩამოერთვათ რუსული ენის გაკვეთილები დაწყებითი კლასების მასწავლებლებს თ. შეყილაძეს, ნ. გაბუნიას (ქუთაისის რაიონის გეგუთის საშ. სკ.), კ. ახობაძეს (მაიაკოვსკის რაიონის როხის საშ. სკ.), ნ. გუმბერიძეს, ნ. ჭრე-

ლაშვილს (მაიაკოვსკის რაიონის პირველი ობჩის საშ. სკ.), ნ. ვაჭარაძეს (პირველი ობჩის 7-წლიანი სკოლა). ასევე საგნის უცოდინარობისათვის ჩამოერთვათ ქიმიის გაკვეთილები მასწავლებელ დ. თორთლაძეს (ქუთაისის რაიონის ქვიტირის საშუალო სკოლა). განათლების განყოფილებებმა (კ. ასათიანი, ს. კოტორეიშვილი) ეს საათები გადასცენ სათანადო კვალიფიკაციისა და ცენზიან მქონე მასწავლებლებს.

4. საგნის სწავლების სუსტად დაყენებისა და მოსწავლეთა ძალზე დაბალი მომზადების გამო გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური მაიაკოვსკის რაიონის როხის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს ს. გიორგაძეს და ქუთაისის რაიონის გეგუთის საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელს ც. სირაძეს.

5. საგნის სწავლების არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო მიეთითოთ: რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს დ. მაღლაფერიძეს (მაიაკოვსკის რაიონის როხის საშ. სკ.), შ. სამხარაძეს (მაიაკოვსკის რაიონის პირველი ობჩის საშ. სკ.); მათემატიკის მასწავლებლებს ჯ. გოგნაძეს (როხის საშ. სკ.), ე. ურუშაძეს (ქუთაისის რაიონის გოდოგინის 7-წლიანი სკ.); ფიზიკის მასწავლებლებს კ. ფერაძეს (მაიაკოვსკის რაიონის პირველი ობჩის საშ. სკ.), თ. მარგველაშვილს (მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშ. სკ.), ა. მწვილდაძეს (პირველი ობჩის 7-წლიანი სკ.); ბიოლოგიის მასწავლებელ ნ. შალამბერიძეს (ქუთაისის რაიონის გეგუთის საშუალო სკოლა).

6. ქუთაისის რაიონის ჭოგნარის 7-წლიანი სკოლის დირექტორს ა. ბერეკაშვილს, რომელმაც ვერ უზრუნველყო სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სათანადო ხელმძღვანელობა და გამოიჩინა სრული უპასუხისმგებლობა სკოლის კეთილმოწყობისა და სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვის საქმეში გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

7. მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილებამ საგნის სწავლების სუსტად დაყენებისა და მოსწავლეთა ძალზე დაბალი მომზადებისათვის სათანადო სასჯელი დაადოს როხის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელ დ. ბრეგაძეს, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა კოლეგიის სხდომაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 10 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე
მ. გურჯულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 60

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 22 იანვარი

ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საშუალო სკოლაში საყოველთაო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში ოფურჩხეთის საშუალო სკოლას (დირექტორი რ. ტყაბლაძე) სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მასწავლებელთა კოლექტივი არაა დარაზმული მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის ძირეული საკითხების წარმატებით გადაწყვეტისათვის, კოლექტივში არ არის ერთსულოვნება. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე მ. ქორიძესა და ქიმიის მასწავლებელ ვ. ლოსაბერიძეს შორის ადგილი აქვს განუწყვეტელ კინკლაობას, რაც მოსწავლეებისათვის ცნობილია.

საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები ყველაფერს არ აკეთებენ მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. სკოლაში გვხვდება მოსწავლეთა მიერ დისციპლინის უხეშად დარღვევისა და ამორალური ქცევის შემთხვევები. დიდია მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. მარტო სასწავლო წლის პირველ მეოთხედში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 1328 გაკვეთილი პირველი მეოთხედის ბოლოს არ იყო შეფასებული 15 მოსწავლე.

ცუდად არის დაყენებული მუშაობა მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან. პირველი მეოთხედის ბოლოს ვერ ასწრებს 10 მეორეწლიანი მოსწავლე. I მეოთხედში ამ სკოლის 266 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 72 მოსწავლე (27,2%). განსაკუთრებით დაბალია მოსწრება VIII კლასში, სადაც 27 შეფასებული

მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 10. ანალოგიური მდგომარეობაა IX და VII კლასებში. საგულისხმოა, რომ I კლასში ვერ ასწრებს 5 მოსწავლე. ცუდადაა დაყენებული კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა. ისინი ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა დარაზმვას ერთსულოვან, მიზანსწრაფ, ჯანსაღ, სწავლაში წარჩინებულ კოლექტივად. კომკავშირელები და პიონერები ჩამორჩებიან სწავლაში. პირველი მეოთხედის შედეგად ვერ ასწრებდა 13 კომკავშირელი და 26 პიონერი. სკოლის დირექცია მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნების მიზნით მოფიქრებული და თანმიმდევრული პედაგოგიური ღონისძიებების ნაცვლად ადმინისტრირების მეთოდს მიმართავს. სკოლას სხვადასხვა მიზეზით ჩამოცილდა I—VII კლასებიდან 17 და VIII—XI კლასებიდან 21 ბავშვი. აღსანიშნავია, რომ სკოლის სამოქმედო ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობითაა ახალგაზრდები, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩამოცილდნენ სკოლას და ამჟამად სურვილი აქვთ ისწავლონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საშუალო სკოლის დირექტორმა (რ. ტყაბლაძე):

1. მიიღოს ყველა ზომა სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

2. არსებითად გაუმჯობესოს მუშაობა მასწავლებელთა შორის. მიიღოს ზომები მასწავლებელთა შორის კოლეგიალური ურთიერთობის განსამტკიცებლად.

3. რადიკალურად გარდაქმნას მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან.

4. გაატაროს საჭირო ღონისძიებანი, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მოსწავლეთა არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა.

5. გააჯანსაღოს კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა, რათა ისინი უზრუნველყოფდნენ მოსწავლეთა დარაზმვას ერთსულოვან, მიზანსწრაფ, ჯანსაღ, სწავლაში წარჩინებულ კოლექტივად.

6. უზრუნველყოს საჭირო ღონისძიებების გატარება სკოლაში მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად.

7. დააზუსტოს სხვადასხვა დროს სკოლიდან გასულ მოსწავლეთა სია და საჭირო შემთხვევაში დააყენოს საკითხი ახალი სასწავლო

წლიდან სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის გახსნის შესახებ.

8. მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ ოფურჩხეთის საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. რ. ტყაბლაძემ მუშაობა დაიწყო მიმდინარე სასწავლო წლიდან. გაფრთხილებულ იქნას იგი, რათა არსებითად გააუმჯობესოს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და უზრუნველყოს საყოველთაო სწავლების კანონის განუხრელად გატარება.

9. ქუთაისის განათლების განყოფილებამ (კ. ასათიანი) სისტემატურად შეისწავლოს რაიონის სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საკითხი და მიიღოს საჭირო ზომები მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებისათვის.

10. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სასწავლო ნაწილის გამგე მ. ქორიძეს და ქიმიის მასწავლებელ ე. ლოსაბერიძეს პარტიის ქუთაისის რაიკომმა დაადო სათანადო სასჯელი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 10 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ბურჭულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 84

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 25 იანვარი

ზუგდიდის, ჩოხატაურის, წყალტუბოს, წალენჯიხის, საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ზუგდიდის 1-ლი, მე-3, მე-5 ამავე რაიონის სანატორიული ტიპის, ჩოხატაურის, ბუკისციხის, წყალტუბოსა და საგარეჯოს საბავშვო ბაღები დამაკმაყოფილებლად მუშაობენ. აქვთ საკმაო რაოდენობით მაგარი და რბილი ინვენტარი, სისტემატურად წარმოებს პედაგოგიური მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვა, შენობებში სისუფთავე და წესრიგია. მიუხედავად ამ ერთგვარი მიღწევებისა, ზემოაღნიშნული ბაღების მუშაობას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

კაპიტალური რემონტი სჭირდება წალენჯიხის, ზუგდიდის 1-ლ, მე-2, მე-3 და სანატორიული ტიპის საბავშვო ბაღებს.

კეთილმოუწყობელია საბავშვო ბაღის ეზოები (ჩოხატაურის, კაჭრეთის, საგარეჯოს, წყალტუბოს, წალენჯიხის და ზუგდიდის მე-2 და მე-6 საბავშვო ბაღები), რიგ საბავშვო ბაღებს აკლიათ რბილი და მაგარი ინვენტარი, ცუდადაა დაყენებული სამედიცინო მომსახურების საქმე.

არადამაკმაყოფილებელია პროდუქტებით მომარაგების საქმე კაჭრეთის, ჩოხატაურის, წალენჯიხის საბავშვო ბაღებში. ჯერ კიდევ არაა მოწესრიგებული პროდუქტების ხარჯვის აღრიცხვიანობის საკითხი, არასწორად აწარმოებენ მენიუ-ფაქტურის გამოწერას ზუგდიდის, ჩოხატაურის, საგარეჯოს საბავშვო ბაღებში. წალენჯიხის საბავშვო ბაღში კი შემოწმების დროს ფაქტურა სულ არ იყო გამოწერილი.

პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა შესაფერის დონეზე

არ არის დაყენებული ზუგდიდის მე-2, მე-6, მე-9 და წალენჯიხის საბავშვო ბაღებში. წალენჯიხის საბავშვო ბაღის აღმზრდელები ბ. კვარაცხელია და ვ. ზარანდია არ აწარმოებენ მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვას. ჯგუფებში არაა ბავშვთა ნამუშევრები, ბავშვები დაუფლებულნი არ არიან შესაფერისი ჯგუფის პროგრამას. ასევე სუსტად მუშაობს წალენჯიხის № 1 ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღის აღმზრდელი ზ. მანავა.

აღნიშნული რაიონების ყველა საბავშვო ბაღში ნაკლები ყურადღება ექცევა ბავშვებში კულტურულ-ჰიგიენური და შრომითი ჩვევების აღზრდას. წალენჯიხის, ჩოხატაურის, წყალტუბოს, კაჭრეთის რაიონის საბავშვო ბაღებში ბავშვებს არა აქვთ ინდივიდუალური პირსახოცები და ხელსაწმენდები.

ზუგდიდის შე-2, მე-9 და წალენჯიხის საბავშვო ბაღებში დარღვეულია დღის რეჟიმი. წალენჯიხის საბავშვო ბაღში მუსიკის მასწავლებლად მუშაობს არასპეციალური განათლების მქონე ლ. ფარმაგეი.

ჩოხატაურის საბავშვო ბაღში სააღმზრდელო საათები არასწორად არის განაწილებული.

ზუგდიდის საბავშვო ბაღებში სუსტად წარმოებს მუშაობა მშობლიური ენის შესწავლაზე. ბავშვებს თითქმის არ ესმით ქართული ენა, ლაპარაკობენ გაუმართავად და დამახინჯებულად, ამას კი პედაგოგები ყურადღებას არ აქცევენ. ზოგჯერ თვით პედაგოგები არიან ამის მიზეზი.

პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ელემენტარულ საკითხებშიც კი ვერ ერკვევიან წალენჯიხის რაიონის № 1, № 2 ჩაის ფაბრიკების და ზუგდიდის № 9 საბავშვო ბაღების აღმზრდელები.

წალენჯიხის, ჩოხატაურის, წყალტუბოს და ზუგდიდის რაიონებში არ მუშაობენ საბავშვო ბაღების აღმზრდელთა მეთოდგაერთიანებები.

აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები ჯეროვან ყურადღებასა და ხელმძღვანელობას არ უწევენ საბავშვო ბაღებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, წყალტუბოს, კაჭრეთის და საგარეჯოს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) უზრუნველყონ საბავშვო ბაღები მაგარი და რბილი ინვენ-

ტარით, სასწავლო ნივთებითა და სათამაშოებით;

ბ) პერიოდულად შეამოწმონ საბავშვო ბაღები და უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი მეთოდგაერთიანების მუშაობაზე.

2. საბავშვო ბაღის გამგეებმა უზრუნველყონ ამ ბრძანებასა და ნარკვევ მასალებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება.

3. ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. გრ. კალანდაძემ მოაწესრიგოს საბავშვო ბაღში საალმზრდელო საათების განაწილების საკითხი.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გააუმჯობესოს სამედიცინო მომსახურება კაჭრეთის, ჩოხატაურის, წყალტუბოს, საგარეჯოს, წალენჯიხის რაიონების საბავშვო ბაღებში.

5. დაისვას საკითხი საქართველოს ჩაის ტრესტის სამმართველოს წინაშე წალენჯიხის № 1 ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ.

6. საბავშვო ბაღზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური წალენჯიხის საბავშვო ბაღის გამგეს ვ. ზარანდიას.

7. სუსტი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის გამოეცხადოს საყვედური წალენჯიხის საბავშვო ბაღის აღმზრდელს ბ. კვარაცხელიას.

8. გაფრთხილებულ იქნას წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ვ. ბელქანია საბავშვო ბაღზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის და დაევალოს მას საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებელ ლ. ფარმაგეის განთავისუფლება, როგორც არასპეციალისტისა.

9. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 24 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 85

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 25 იანვარი

ქ. თბილისის ვაკის, საჩხერის, ჩოხატაურის, მახარაძის, ვაშლოვანის, კარდანახის საბავშვო სახლებისა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ვაკის, საჩხერის, ჩოხატაურის, მახარაძის, ვაშლოვანის და კარდანახის საბავშვო სახლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი.

ვაკის და კარდანახის საბავშვო სახლებში (დირექტორები ნ. ბახტაძე და ს. მედულაშვილი) აღსაზრდელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აკადემიურად ჩამორჩენილია და მათი მომზადების დონე დაბალია, მეცადინეობის დროს არაა გამოყენებული თვალსაჩინოება, არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული პედსაბჭოს მუშაობა, არ ეწყობა სასწავლო-საწარმოო ხასიათის ექსკურსიები, აღსაზრდელთა შორის არ არის გაშლილი კულტმასიური მუშაობა.

საჩხერის საბავშვო სახლში (დირექტორი გ. ხვედელიძე) ადგილი აქვს დღის რეჟიმის დარღვევის შემთხვევებს. შრომის სწავლება შემთხვევით ხასიათს ატარებს. შრომის ინსტრუქტორი შ. ნოზაძე ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

ჩოხატაურის საბავშვო სახლში (დირექტორი ე. კუტუბიძე) დღემდე არ არის მოწყობილი სადურგლო და ჭრა-კერვის სახელოსნოები.

კარდანახის საბავშვო სახლში დღემდე არ არის შექმნილი მზრუნველთა საბჭო.

ვაშლოვანისა და კარდანახის საბავშვო სახლების საშეფო ორგანიზაციები სრულ უმოქმედობას იჩენენ.

ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატში (ყოფილი დირექტორი

ზ. კაპანაძე, ყოფილი სასწავლო ნაწილის გამგე ს. ლორთქიფანიძე) ჩამლილია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, აღსაზრდელების ერთი ნაწილი არ უფრთხილდება ინტერნატის ქონებას, არ ესწრება გაკვეთილებს, და არევ-დარევა შეაქვს ინტერნატის მუშაობაში. აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმე უყურადღებოდ არის მიტოვებული. თანამშრომელთა და აღსაზრდელთა პირადი საქმეები მოუწესრიგებელია. ინტერნატში მუშაობენ შეუფერებელი კადრები. ექიმი მ. ავეტიკოვი თვეობით არ ცხადდება სამუშაოზე. ჩამლილია სამედიცინო მომსახურება. სამინისტროს ბრძანების გარეშე მუშაობენ მასწავლებლები თ. კანზაველი და ნ. სუდაძე. შრომის სწავლება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. შრომის ინსტრუქტორებს არ გააჩნიათ სამუშაო გეგმები.

ინტერნატი ზამთარს მოუმზადებელი შეხვდა. საძინებელი ოთახები არ თბება. მინები ჩამტრვეულია. შესასვლელი ალაყაფის კარები და კედლები ჩამონგრეულია. აღსაზრდელებს არ აქვთ საკმაო რაოდენობით რბილი ინვენტარი და სხვა.

ადგილი აქვს დარღვევებს აგრეთვე საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში.

ქ. თბილისის ვაკის, საჩხერის და ჩოხატაურის საბავშვო სახლებსა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატში ადგილი აქვს ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლებით თანხების როგორც გადახარჯვას, ისე აუთვისებლობას.

დირექციის უყურადღებობის შედეგად კარდანახის, საჩხერის და ჩოხატაურის საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა კვებაზე გადახარჯულია მნიშვნელოვანი თანხები.

ვაკის, საჩხერის და ჩოხატაურის საბავშვო სახლების და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები ვერ მარაგდებიან დაწესებული ნორმებისა და ასორტიმენტის კვების პროდუქტებით.

საჩხერის საბავშვო სახლში და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატში (ბუხჰალტრები მ. მაჭავარიანი და ა. ბაგდასარიანი), არ წარმოებს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა დადგენილი ვადების მიხედვით. საბუხჰალტრო საბუთების გაფორმებას არ ექცევა სათანადო ყურადღება. შემოსავლის და გასავლის ფაქტურები არ არის დანომრილი. ფორმალურ ხასიათს ატარებს აქტების შედგენა პროდუქტების ქვაბში ჩაშვების თაობაზე. საწყობში რბილი ინვენტარი-

სა და სხვა ფასეულობათა მიღება-გაწერა არ წარმოებს არტიკულებისა და ნომრების მიხედვით.

ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატში ფულის ჩეკის ყუების ყველა რეკვიზიტი არ არის შევსებული და ხელმოწერილი. გასავლის ფაქტურები ხშირ შემთხვევაში გამოწერილია საწყობის გამგის მიერ. გარდა ამისა, ადგილი აქვს ფაქტურების გადასწორების შემთხვევებს. საწყობის გამგე ლ. გერასიმენკო ვერ იმსახურებს ნდობას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საბავშვო სახლის დირექტორებს:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რეგულარულად მოიწვიონ პედსაბჭოს სხდომები და მეთოდთათბირები, რომლებზედაც მოისმინონ ცალკეული საღმზრდელო ჯგუფის აღმზრდელთა, შრომის ინსტრუქტორთა, პიონერხელმძღვანელთა და სხვა მუშაკთა ანგარიში. დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ბ) განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება აღსაზრდელთა მიერ საშინაო დავალების შესრულებაზე;

გ) უმოკლეს დროში სრულ წესრიგში მოიყვანონ აღსაზრდელთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები;

დ) უზრუნველყონ სამეცადინო ოთახები თვალსაჩინოებით და დიდაქტიკური მასალებით, ხოლო აღსაზრდელები სასწავლო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით;

ე) ყოველდღიურად იზრუნონ აღსაზრდელებში შეგნებული დისციპლინის და სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვისა და განმტკიცებისათვის;

ვ) აღსაზრდელებთან დამატებითი მუშაობით და სკოლასთან მჭიდრო კავშირის დამყარებით მიაღწიონ აღსაზრდელთა მაღალ მოსწრებას;

ზ) გადაჭრით გააუმჯობესონ შრომის სწავლება;

თ) ხშირად მოაწყონ სასწავლო-საწარმოო ხასიათის ექსკურსიები;

ი) სისტემატურად შეავსონ საბავშვო სახლის ბიბლიოთეკები პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაზე;

კ) სისტემატურად უჩვენონ აღსაზრდელებს კინო-ფილმები;

ლ) გაუმჯობესონ კედლის გაზეთების მუშაობა;

მ) ხშირად დააყენონ საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე მზრუნველთა საბჭოებისა დ საშეფო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

ნ) ზუსტად დაიცვან საფინანსო დისციპლინა, არ დაუშვან თანხების გადახარჯვა ან აუთვისებლობა, უზრუნველყონ ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების კვარტალურად ათვისება და დანიშნულებისამებრ მისი გამოყენება;

ო) დადგენილი ნორმების მიხედვით უზრუნველყონ აღსაზრდელები როგორც კვების პროდუქტებით, ისე რბილი და მაგარი ინვენტარით;

პ) სათანადო ყურადღება მიაქციონ საბუხჰალტრო საბუთების გაფორმების საქმეს;

ე) საწყობში რბილი ინვენტარის მიღება და საწყობიდან გაწერა აწარმოონ არტიკულებისა და ნომრების მიხედვით.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორი ზ. კაპანაძე და სასწავლო ნაწილის გამგე ს. ლორთქიფანიძე მოხსნილი არიან თანამდებობიდან, ხოლო ამავე სკოლა-ინტერნატის მასწავლებლები თ. კანზაველი, ნ. სუდაძე და ა. სუდაძე განთავისუფლებული არიან სამუშაოდან.

3. ეცნობოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის ექიმ მ. ავეტიკოვის სუსტი მუშაობის შესახებ.

4. დაევალოს საჩხერის საბავშვო სახლისა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორებს მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი დაადონ ბუხჰალტრებს მ. მაჭავარიანს და ა. ბაგდასარიანს საფინანსო საქმიანობაში სერიოზული დარღვევების დაშვებისათვის.

5. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება 1958 წლის II კვარტალში და შედეგი მოახსენოს კოლეგიას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 24 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ბ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 94

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 30 იანვარი

სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ზოგიერთი სკოლა-ინტერნატის მუშაობაში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია.

რესპუბლიკის ყველა სკოლა-ინტერნატი ვერ პასუხობს ამ ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების მოთხოვნებს.

ყველა აღსაზრდელი არ არის მომარაგებული თბილი ტანსაცმლით, ყველას არა აქვს პერანგები და აცვია მოკლესახელოიანი მაისურები. ბეთანიის სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელებს არა აქვთ საშინაო ფეხსაცმელი. ადგილი აქვს აღსაზრდელთა ჩაცმულობის სიჭრელეს. ზოგიერთი ბავშვი კვლავ ოჯახიდან წამოღებული ტანსაცმელით დადის. ზოგჯერ ინტერნატები დაბალი ხარისხის ტანსაცმელ-ფეხსაცმელს ღებულობენ, მაგრამ არც მიღებისა და არც ხმარების დროს დადგენილი წესით არ ხდება შემოწმება, აქტის შედგენა და დამნაშავეთა შესახებ ზემდგომ ორგანოებში საკითხის დასმა. სკოლა-ინტერნატების მუშაკები სათანადო კონტროლს არ უწევენ აღსაზრდელთა მიერ ტანსაცმელ-ფეხსაცმლის წესიერად ხმარების საქმეს.

გუმათისა და კოჯრის სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელი ვაჟები თავის დროზე არ იყვნენ უზრუნველყოფილნი საზამთრო ქუდებით. მათ არ ჰქონდათ აგრეთვე ქამრები.

ზოგ აღსაზრდელს შეუფერებელი ზომის ტანსაცმელი აცვია; ვაჟებს თავის დროზე არ კრეჭენ თმებს.

გუმათის სკოლა-ინტერნატში სათანადო ყურადღება არ ექცევა აღსაზრდელებში ჭამის კულტურის ჩვევების დანერგვას. გორდის, განთიადის, თეთრი წყაროს და გუმათის სკოლა-ინტერნატებში ად-

გილი აქვს კვების ნორმების დარღვევას. აღსაზრდელებს არ ეძლევათ დადგენილი ასორტიმენტის პროდუქტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწოდების სიმაღლეზე არაა დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. კოჯრის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელებს არა აქვთ პედაგოგიური დაკვირვების დღიურები, ხოლო ბევრ მათგანს— ყოველდღიური სამუშაო გეგმა. აღმზრდელები იშვიათად ესწრებიან თავიანთი აღსაზრდელების გაკვეთილებსა და პრაქტიკულ მეცადინეობას.

ბარისახოს სკოლა-ინტერნატში ადგილი აქვს აღსაზრდელთა მიერ დისციპლინის უხეშად დარღვევის შემთხვევებს.

სათანადოდ არ არის მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები და კაბინეტები. გუმათის სკოლა-ინტერნატის სასკოლო შენობაში არ არის გაკრული სასწავლო-აღმზრდელობითი ხასიათის პლაკატები და ლოზუნგები, კლასებში არაა მოწყობილი საორგანიზაციო კუთხეები.

ზოგიერთ სკოლა-ინტერნატში მოუთმენლად დაბალია აღსაზრდელთა აკადემიური წარმატების დონე. განთიადის სკოლა-ინტერნატში II მეოთხედის ბოლოს 123 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებდა 50 აღსაზრდელი (40,6%); გუმათის სკოლა-ინტერნატში 144 აღსაზრდელიდან 36 აღსაზრდელი (25%); ბეთანიის სკოლა-ინტერნატის VI კლასში 31 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებდა 10 აღსაზრდელი.

ცუდადაა დაყენებული მუშაობა მეორეწლიან აღსაზრდელებთან. განთიადის სკოლა-ინტერნატში ვერ ასწრებს 9, გუმათის სკოლა-ინტერნატში 10 მეორეწლიანი აღსაზრდელი. გუმათის სკოლა-ინტერნატში 43 მეორეწლიანი და კლასისათვის ასაკით შეუფერებელი აღსაზრდელია ჩარიცხული.

ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს გუმათის სკოლა-ინტერნატის IV კლასის მოსწავლეებმა ქართულ ენაში (მასწავლებელი ვ. ჯიხვაძე). ლიტერატურული მასალისაგან მოწყვეტით ისწავლება ქართული ენა V კლასში. მასწ. ვ. ძნელაძე სისტემატურად არ ასწორებს მოსწავლეთა საშინაო და საკლასო წერით ნამუშევრებს. დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა გუმათის სკოლა-ინტერნატის III კლასში. მასწ. ნ. ბეჟანიშვილი ვერ ფლობს ენას, გაკვეთილის პროცესში უშვებს უხეშ ენობრივ შეცდომებს, მას არ შეუძლია მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორება.

გუმათის სკოლა-ინტერნატის ქიმიის მასწავლებელი ნ. მორჩაძე (დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი) არ ატარებს პროგრამით გათვალისწინებულ სადემონსტრაციო ცდებს.

ფიზიკის მასწავლებელი ლ. მეგრელიშვილი ფლობს საგანს, ფიზიკის ხელსაწყოებზე მუშაობის ტექნიკას, დამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს ფიზიკა-ტექნიკის საგნობრივ წრეს, მაგრამ ფიზიკის კაბინეტში მოუწყობელია ელექტროგაყვანილობა და არაა საკმაო რაოდენობის ხელსაწყოთა კომპლექტები ფრონტალურ-ლაბორატორიული მუშაობისათვის.

დაბალია V კლასის (მასწავლებელი ა. სარიშვილი) მოსწავლეთა მომზადების დონე ბიოლოგიაში. კაბინეტისათვის გამოყოფილია ორი ოთახი, მაგრამ კაბინეტს არ გააჩნია ბიოლოგიის საგნის სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები და თვალსაჩინო მასალები.

სკოლაში არაა მოწყობილი გეოგრაფიის მოედანი, არა აქვთ კონტურული რუკები. გეოგრაფიის მასწავლებელ ა. ბოჭორიშვილს არა აქვს საშუალება იმ პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისა, რასაც პროგრამა ითვალისწინებს. სკოლა-ინტერნატის წლიური მუშაობის გეგმა ზოგადია და მასში არ არის სრულყოფილად მოცემული სკოლა-ინტერნატის მუშაობის საკითხები.

სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელები არ ახდენენ საუკეთესო აღმზრდელებისა და მასწავლებლების მუშაობის შესწავლასა და განზოგადებას, მტკიცე კონტროლს არ ახორციელებენ მასწავლებლებისა და აღმზრდელების მუშაობაზე.

კოჯრისა და თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატებში არ არის მუშაკთა შრომის განაწესი, მოუწესრიგებელია პედაგოგიური პერსონალისა და აღმზრდელთა პირადი საქმეები, მუშაკთა უმრავლესობას არ გააჩნიათ შრომის წიგნაკები ხოლო არსებული წიგნაკები არასწორადაა შევსებული.

კოჯრისა და თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატებში არ ადგენენ მუშაკთა შვებულებაში გაშვების გრაფიკს, ზოგიერთ მუშაკს არ მიუღია კუთვნილი შვებულება. თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატში შრომის დაცვის კომისია დირექციის მიერ გამოყენებულია მხოლოდ მუშაკთა გაფრთხილებისა და დასჯისათვის, ხოლო კოჯრის სკოლა-ინტერნატში კომისია დღემდე არ შეუქმნიათ.

ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული კოჯრის სკოლა-ინტერნატის ეზოს შემოღობვა. კოჯრისა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატების

შიდა გზების დიდი ნაწილი არ არის მოაასფალტებული. ბარისახოს სკოლა-ინტერნატის აბანო-სამრეცხაო და პირსაბნები კეთილმოუწყობელია. აქ უხეშად ირღვევა სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის წესები. სრულიად არ აქვს აბანო თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატს, რის გამო მოუწესრიგებელია ბავშვთა ბანაობის საქმე.

ბეთანიის სკოლა-ინტერნატს სამი თვეა ექიმი არა ჰყავს.

გუმათის სკოლა-ინტერნატში მოუწყობელია პირსაბანი ოთახები, არ არის სპეციალური კარადა ან თაროები ინდივიდუალური უჯრედებით საპნის, კბილის ფხვნილისა და კბილის ჯაგრისის შესანახად.

მიუხედავად განათლების სამინისტროს არა ერთგზის მითითებისა, მოუწესრიგებელია ტანსაცმლისა და თეთრეულის დანომვრის და ბავშვებზე მათი გაპიროვნების საქმე. ბეთანიის სკოლა-ინტერნატში თეთრეული დანომრილი და გაპიროვნებულია, მაგრამ აღსაზრდელებს ბანაობის შემდეგ არ უბრუნდებათ მათზე გაპიროვნებული თეთრეული. არც ერთ სკოლა-ინტერნატში არ არის შემოღებული აღსაზრდელებზე გაცემული ტანსაცმელ-ფეხსაცმლის საარმატურო ბარათები.

არის შემთხვევები, როცა ლოგინის თეთრეული აღსაზრდელთა ბანაობის დღეს არ იცვლება (ბეთანიისა და კოჯრის სკოლა-ინტერნატები).

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) მტკიცე კონტროლი განახორციელონ აღმზრდელებისა და მასწავლებლების მუშაობაზე და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

ბ) შეისწავლონ და ფართოდ განაზოგადონ მოწინავე აღმზრდელთა და მასწავლებელთა გამოცდილებანი;

გ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ღრმა ანალიზი გაუკეთონ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას და მიიღონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლა-ინტერნატების შენობებისა და კარმიდამოს კეთილმოწყობისა და სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვისათვის;

ე) მ/წლის 10 თებერვლამდე დააზუსტონ და წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოებისა-

თვის საჭირო ხელსაწყო-იარაღების, რეაქტივების და თვალსაჩინო მასალების სია;

ვ) სასტიკი კონტროლი დააწესონ აღსაზრდელთა ტანსაცმელ-ფეხსაცმელის მოვლა-პატრონობაზე; უზრუნველყონ, რომ აღსაზრდელები, რომლებიც შვებულებით შინ მიდიან, უკან დაბრუნებისას სკოლა-ინტერნატს აბარებდნენ ყველაფერს, რაც მათ წასვლისას მიიღეს.

2. სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ს. არველაძე);

ა) მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა სკოლა-ინტერნატის ყველა აღსაზრდელს ჰქონდეს დადგენილი ნორმის მიხედვით ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა ნივთები. სკოლა-ინტერნატების დირექტორებთან ერთად დააწესონ მკაცრი კონტროლი ფაბრიკებიდან და სავაჭრო ორგანიზაციებიდან მიღებული საქონლის ხარისხზე, დაუყოვნებლივ შეადგინოს წუნდებულ საქონელზე აქტი და წარმოადგინოს სამინისტროში მასალები დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად;

ბ) სისტემატურად შეისწავლოს სკოლა-ინტერნატებში ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წესიერად ხმარების მდგომარეობა;

გ) უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები, მათ მიერ წარმოდგენილი სიის მიხედვით, ასიგნებული თანხების ფარგლებში საჭირო ხელსაწყოებით, რეაქტივებით და თვალსაჩინო მასალებით სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების სრულყოფილად მოწყობისათვის.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ა. ღადუა) სკოლა-ინტერნატების დირექტორებთან ერთად ერთი თვის განმავლობაში შეადგინოს ყველა სარემონტო სამუშაოს სადეფექტო აქტები, ხარჯთაღრიცხვები და ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში დროულად უზრუნველყოს სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულება, გაითვალისწინოს თეთრი წყაროსა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატებში აბანოების მშენებლობა.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაჩქარებით დანიშნოს ექიმი ბეთანიის სკოლა-ინტერნატში.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებისათვის ფეხსაცმელის დამზადება დააკალოს ერთ ან ორ წარმოებას, ხოლო ტანსაცმლისა — ერთ რომელიმე ფაბრიკას.

6. გუმათის სკოლა-ინტერნატის დირექტორმა გ. ფრუიძემ დაუყოვნებლივ ჩამოართვას III კლასში რუსული ენის საათები ნ. ბეჟა-

ნიშვილს და გადასცეს იგი სათანადო ცენზისა და კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელს.

7. სკოლების სამმართველომ (გ. საყვარელიძე) სისტემატურად შეამოწმოს სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და სათანადო დახმარება აღმოუჩინოს სკოლა-ინტერნატებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1958 წლის 24 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ბ. ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 116

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 1 თებერვალი

ექსტერნების სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე დაშვების წესში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

ექსტერნატის წესით სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე დაშვების საკითხს დღემდე სწყვეტდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. წლების მანძილზე ამ სფეროში უკვე დამყარდა გარკვეული წესრიგი. აქედან გამომდინარე, და იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა განათლების ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა და უფლებები,

ვბრძანებ:

1. 1957 — 1958 სასწავლო წლიდან ექსტერნატის წესით სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე დაშვების მსურველთა საბუთების მიღება აწარმოონ ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და სტალინირის განათლების განყოფილებებმა, მათვე მიიღონ გადაწყვეტილება ექსტერნების გამოცდებზე დაშვების შესახებ.

2. ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და სტალინირის განათლების განყოფილებებმა გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება სათანადო ინსტრუქციის ყველა მოთხოვნის განუხრელად შესასრულებლად და ექსტერნატის წესით გამოცდების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

3. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე):

ა) ორი კვირის ვადაში შეიტანოს საჭირო ცვლილებები ინსტრუქციაში ექსტერნატის წესით სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდების შესახებ და წარმოადგინოს კოლეგიაზე დასამტკიცებლად;

ბ) გააძლიეროს განათლების ადგილობრივი ორგანოებისადმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონტროლი ექსტერნების გამოცდებზე დაშვებისა და გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში;

ბ) რესპუბლიკურ პრესაში დროულად გამოაცხადოს ექსტერნატის წესით სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდების ჩატარების შესახებ.

4. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების„ უახლოეს ნომერში.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ბ. ჯიბლაძე**

საქართველოს სსრ საინფორმაციო ბიბლიოთეკა
№ 283
11/VII 1955 წ.